საწოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

80452383535623

საქართველო

საწოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

საწოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231577148

რეგისტრაციის თარიღი

13.11.2023 წ

ნოტარიუსი: თეა ედიშერაშვილი
მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ
ტელეფონი: +995 591 202027

საწოტარო მოქმედებისა და საწოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge**
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ნოემბერს მე, ნოტარიუსი საქართველოში თეა ედიშერაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ, **რუსეთის ფედერაციის მოქალაქის თეიმურაზ შენგელიას** თხოვნით გამოვცხადდი მისამართზე: თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N12. მან განაცხადა, რომ იგი არის **შპს უბანი 2022-ს (ს.კ. 404659044) დირექტორი** და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით - პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ თეიმურაზ შენგელიამ** (დაბადებული: 17.07.1975 წელს, რუსეთის მოქალაქის პასპორტი: 75 0553416, გაცხადებული მისამართი: თბილისი, ფერიცვალების ქ. 20/22, ბინა 5) , როგორც შპს უბანი 2022-ს (ს.კ. 404659044) დირექტორმა მომმართა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან B23084364, 14/06/2023 13:47:34).

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე სანოტარო აქტის შინაარსი და რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე მინდობილობა, ასევე მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც მისი კარნახით შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან წაიკითხა იგი, მოიწონა და მკაფიოდ განაცხადა რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **თეიმურაზ შენგელია,** როგორც **შპს უბანი 2022-ს** (ს.კ. 404659044) დირექტორი (შემდგომში კომპანია/მინდობილობის გამცემი), კომპანიის სახელით, ამ მინდობილობით ვენდობი **ირაკლი მურღულიას (პ/ნ 01024005288)** (შემდგომში მინდობილი პირი) და ვანიჭებ უფლებამოსილებას: კომპანიის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, დიდების ქუჩა, N2, საკადასტრო კოდი: 81.01.01.888) აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან, შემდგომში მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები (მათ შორის: მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დაშენება/გადახურვა, დემონტაჟი) მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებისათვის და სხვა მსგავსი სახის პროექტის წარსადგენად (მათ შორის ელექტრონულად). ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში პროექტის წარსადგენად (მათ შორის: რაც მოქმედი კანონმდებლობით დაკავშირებულია განაშენიანების რეგულირების გეგმასთან შესაბამისობის საკითხთან) და ნებართვის მისაღებად და სხვა., შეათანხმოს პროექტი (მათ შორის დემონტაჟის), გასცეს/მიიღოს ამონაწერები, ინფორმაციები/ცნობა/მოწმობა, კომპანიისათვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტი, აწარმოოს უკანონო ან/და ნებისმიერი შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღება/დაკანონება, მოახდინოს მშენებლობის ვადის გადავადება, გადაიხადოს კანონით დადგენილი ბაჟები და მოსაკრებლები, გააკეთოს განცხადებები, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუიციპალიტეტის მერიაში, მის ტერიტორიულ, სტრუქტურულ და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (არქიტექტურის, ზედამხედველობის და სხვა), გამგეობაში, საკრებულოში, ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მოაწეროს ხელი ჩემი სახელით ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებ(ებ)ის შესასრულებლად

მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) წლის ვადით.

მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

საზღაური სანოტარო მომსახურებისათვის: 30+35 (სამოცდახუთი) ლარი თანახმად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე და 34-ე მუხლებისა, დღგ 11.70 (თერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი და 5 (ხუთი) ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39 მუხლისა.

თეიმურაზ შენგელია _____

ნოტარიუსი: თეა ედიშერაშვილი